საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/31

ქ. ბათუმი

06 აპრილი, 2021 წ.

,,ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში" 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ " ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 05 მარტის №01-10/18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში" განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 9 მარტის №4 გადაწყვეტილებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სტუდენტთა კარიერული განვითარების და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის ლაშა მიქელაძის 2021 წლის 31 მარტის MES 5 21 0000308727 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ,,ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 05 მარტის №01-10/18 ბრძანების მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ბსუ-ს სტუდენტთა განცხადებებისა და საბუთების მიღების პერიოდი - 2021 წლის 09 მარტიდან 19 მარტის ჩათვლით, ელექტრონულად: Portal.bsu.edu.ge-ზე (,,ველიდან წერილი კანცელარიას მეშვეობით'');

ბ) წარმოდგენილი განცხადებებისა და საბუთების საკონკურსო კომისიის მიერ განხილვის პერიოდი - 2021 წლის 22 მარტიდან -2021 წლის 12 აპრილის ჩათვლით;

გ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება კომისიის სამუშაო ადგილზე (ბსუ-ს II კორპუსი, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამუშაო ოთახთან და ბსუ-ს ვებგვერდზე)- არაუგვიანეს 2021 წლის 13 აპრილი;

დ) კონკურსის შედეგების გასაჩივრება (აპელაცია) 2021 წლის 14 აპრილი (ბსუ-სტუდენტური პორტალის მეშვეობით);

ე) საკონკურსო კომისიის მიერ სააპელაციო საჩივრების განხილვა და საბოლოო შედეგების ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნება - არაუგვიანეს 2021 წლის 15 აპრილი;

ვ) შეღავათის მინიჭების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების გამოცემა 2021 წლის 16 აპრილი.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში „ბრძანებებში“ და „სოციალური შეღავათების პროგრამები“) და სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს სტუდენტებს წინამდებარე ბრძანების გაცნობის მიზნით.

3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), სტუდენტებს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურსა და იურიდიულ დეპარტამენტს.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ა. მითაიშვილი**